



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამა
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10.03 - 08.04

დასკვნის წარდგენის თარიღი

19 აპრილი, 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამეანო საქმე
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამეანო საქმის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0913 საექთნო და სამეანო საქმე Nursing and Midwifery
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 194; 05.11.2019

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა აბუანდაძე, სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამეანო საქმე“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულია 2019 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 194; 05.11.2019).

დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 24 თებერვალს №154352 წერილით წარმოდგენილი პროგრამის მახასიათებლებია:

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელი;

პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი = 30 სთ (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს), საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სავალდებულო სასწავლო კურსები 222 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები-18 კრედიტი).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ბრძანების (MES 4 22 0000220885, 2.03.2022) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე, ეკა აბუანდაძე განახორციელა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამეანო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგი „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 24 თებერვალს №154352 წერილით წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით.

ექსპერტთა მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2.

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე რიგი სწავლის შედეგების განსაზღვრა მოხდეს მეტი სიზუსტით, რათა თვალსაჩინოდ ჩანდეს წლების მიხედვით ამათუიმ კომპეტენციის გაღრმავების დინამიკა;
- დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში არსებული ერთეული შეუსაბამობები, კერძოდ, დაზუსტდეს „ცოდნა გაცნობიერების“ კომპეტენციის ფორმულირება.

2.3.

მოხდეს სასწავლო რიგი კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, დაკორექტირდეს რიგი კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში განსაზღვრებები ენობრივი სისწორის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

2.6.

სასურველია კლინიკურ საგნებში (მეანობა 4, ნეონატოლოგია, შესავალი გინეკოლოგიაში, კლინიკური პრაქტიკა) სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურება ხდებოდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით OSCE.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ შეფასებაზე დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმად დაწესებულების მიერ გაზიარებულია გამოთქმული რჩევები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებასა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში მონაწილეობას და კურსდამთავრებულების აღჭურვას საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით. „სამეანო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი იზიარებს უნივერსიტეტის აღნიშნული მისიის პათოსს და ემსახურება გაცხადებული იდეის განხორციელებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანია კომპეტენტური სამეანო საქმის ბაკალავრის მომზადება, რომელიც შეძლებს: ორსულის, მშობიარის და მელოგინის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობას, საკონსულტაციო საქმიანობას რომელიც ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება ქალსა და მის ოჯახს გადაწყვეტილების მიღებაში, სამშობიარო ბლოკში კრიტიკული მდგომარეობების დროულ იდენტიფიკაციას და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას კომპეტენციის ფარგლებში, სამეანო გუნდთან ერთად მონაწილეობას ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი ახალშობილის მიღებასა და დედის ჯანმრთელობის ხარისხის შენარჩუნებაში, დედის, ნაყოფის/ახალშობილის ავადობა/სიკვდილობის მაჩვენებლების შემცირებაში, სიცოცხლის მანძილზე სწავლას და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნას.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი არ შეცვლილა.

საბაკალავრო პროგრამის დასახელება - „სამეანო საქმე“- სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადდა როტერდამის (ნიდერლანდები) ბებიჩაქალთა უნივერსიტეტის მხარდაჭერით პროექტის „ბებიჩაქალთა ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში“ ფარგლებში (2009 წლიდან) და შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებული იქნა

<p>ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM), გინეკოლოგთა და მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (FIGO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და გაიდლაინები, კურიკულუმი მთელი სწავლების მანძილზე ეფუძნება პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას. ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვანი იქნება კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამის შედეგების შინაარსი არ შეცვლილა, მოხდა მათი დეკლარირება კვალიფიკაციის განსაზღვრელი სამი ელემენტის „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მიხედვით.

სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამის შედეგებში ასახულია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კომპონენტების შინაარსი:

- პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;
- პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ლიდერული და ორგანიზაციული უნარების გამოვლენა, ფუნქციების ადეკვატური დელეგირება;
- პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით, საკუთარი პრაქტიკის სრულყოფა და კარიერული წინსვლა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმის გამოყენებით.

პროგრამაში აღწერილია და წარმოდგენილია

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგების უკანასკნელი რუკებით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები, ასევე ასახულია, თუ რომელი სასწავლო კურსებითა და აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები, ჩანს ესა თუ ის სასწავლო კურსი თუ რა დონით ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგებს (1-გაცნობა; 2- გაღრმავება; 3- განმტკიცება), თუმცა, რიგი სასწავლო კურსების შედეგებში (პრაქტიკული უნარ-ჩვევები 2, პრაქტიკული უნარ-ჩვევები 3; ასევე მეანობა - 2, მეანობა - 3, მეანობა - 4) სამივე კომპეტენცია ცოდნა/უნარები/ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა განსაზღვრულია მე-3 (განმტკიცება) დონეზე და არ ჩანს აღნიშნული შედეგების თანდათან გაღრმავების დინამიკა. ამასთანავე, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას ერთეულ შემთხვევაში გვხვდება შეუსაბამობები, მაგალითად „ცოდნა გაცნობიერების“ კომპეტენციაში:

<p><i>იცის/გაცნობიერებული აქვს</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას, სამედიცინო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, - მართვისა და ლიდერობის უნარები.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე რიგი სწავლის შედეგების განსაზღვრა მოხდეს მეტი სიზუსტით, რათა თვალსაჩინოდ ჩანდეს წლების მიხედვით ამათუიმ კომპეტენციის გაღრმავების დინამიკა; ○ დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში არსებული ერთეული შეუსაბამობები, კერძოდ, დაზუსტდეს „ცოდნა გაცნობიერების“ კომპეტენციის ფორმულირება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.</p> <p>სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. პროგრამაზე დაშვების პირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე პირთა შერჩევას.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე.</p> <p>ინფორმაცია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ ვრცელდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შესაბამის ველში.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- //tsmu.edu/ts/images/dxp/saeqTno_saqme_bebiaqali_618bc46136414.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის თანახმად. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსებით 222 ECTS , არჩევითი სასწავლო კურსები კი 18 ECTS.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნები და შედეგები მიიღწევა

თანმიმდევრულად აგებული კლინიკურ-პრაქტიკული სასწავლო კურსებით. თეორიულ სასწავლო კურსებთან ერთად პროგრამა მოიცავს კლინიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებს სწავლების ადრეული ეტაპიდან, თავიდან პასიური პრაქტიკის ფორმატში, როდესაც მეტწილად დამკვირვებლის როლში შესაძლოა მარტივ ასისტირებას უწევდეს პრაქტიკის ხელმძღვანელს, თანდათან ხდება გადასვლა აქტიურ პრაქტიკულ მუშაობაზე (კომპეტენციის ფარგლებში) კლინიკურ გარემოში, სადაც სტუდენტი თავად მონაწილეობს პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით.

პროგრამის ძირითადი სასწავლო თემატური ჯგუფებია:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პაციენტთა განათლება - 8 ECTS
- დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მართვა - 2 ECTS
- ქცევითი მეცნიერებები - 4 ECTS
- ბიოლოგიური მეცნიერებები - 48 ECTS
- კლინიკური დისციპლინები - 30 ECTS
- სამეანო საქმე - 104 ECTS
- კვლევითი უნარ-ჩვევები - 6 ECTS
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები - 11 ECTS
- პროფესიული, ეთიკური და იურიდიული ასპექტები - 2 ECTS
- ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები - 3 ECTS
- მენეჯმენტი და ლიდერობა - 4 ECTS რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევას.

სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, პრაქტიკული დისციპლინების კრედიტ-მოცულობის გაზრდის სახით, კერძოდ, მეანობა ნაცვლად 15 კრედიტისა, გახდა 22 კრედიტი.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება სამეანო საქმის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რაც სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და მიიღწევა ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები
- [//tsmu.edu/ts/images/dxp/saeqTno_saqme_bebiaqali_618bc46136414.pdf](http://tsmu.edu/ts/images/dxp/saeqTno_saqme_bebiaqali_618bc46136414.pdf)
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები ავითარებენ პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტი და კრიტერიუმი გაწერილია სილაბუსებში.

წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში, გამოყენებულია აქტიური ზმნები.

წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს, თუმცა ერთეულ შემთხვევებში არის შენარჩუნებული მომავალ დროში და არამკაფიოდ ფორმულირებული შედეგები, მაგალითად:

- რეპროდუქტოლოგია

„ცოდნა და გაცნობიერებაში“ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა

ფლობდეს; „უნარებში“ სტუდენტს უნდა შეეძლოს;

• **ფსიქოსექსოლოგია**

„ცოდნა და გაცნობიერება“ ფორმულირებულია შემდეგნაირად: დისციპლინის შესწავლის შედეგად სტუდენტი ითვისებს; „უნარები“ სტუდენტი იმაღლებს სექსუალური კულტურის დონეს;

• **სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების კონტროლი**

„ცოდნა და გაცნობიერებაში“ სტუდენტი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების კონტროლის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ.

• **აივ ინფექციის კონტროლი**

„ცოდნა და გაცნობიერებაში“ სტუდენტი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას აივ-ინფექციის კონტროლის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ;

• **პრაქტიკული უნარ-ჩვევები 1**

„უნარები“ მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს უნდა შეეძლოს პაციენტთან ინტერვიუს წარმოება.

• **პრაქტიკული უნარ-ჩვევები 2, 3**

„ცოდნა და გაცნობიერება“ სტუდენტი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას ფერტილობის რეგულაციის ძირითადი ასპექტების შესახებ. „უნარები“ მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს უნდა შეეძლოს ინტერვიუს წარმართვა ფერტილობის რეგულაციის თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს სასწავლო რიგი კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, დაკორექტირდეს რიგი კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგებში განსაზღვრებები ენობრივი სისწორის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას და სწავლების ადრეული ეტაპიდან საორიენტაციო კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვდება რა კლინიკურ გარემოში, უკვე აცნობიერებს საკუთარ როლს პოპულაციის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ცალკეული კომპონენტებით ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტების განხორციელებაში. ამ მიმართულებით სამეანო საქმის ბაკალავრის პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები განსხვავებულია და შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და დარგის თავისებურებებთან. პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის

სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში სწავლება-სწავლის მეთოდების ცვლილებები არ განხორციელებულა. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლის მეთოდებია:

- ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სემინარები, კოლოქვიუმები; ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი;
- სიმულატორების და მულაჟების გამოყენება;
- კლინიკურ გარემოში სწავლება;
